ა.(ა).ი.პ. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანება
2021-2022 სასწალო წლის გაწეული და მიმდინარე მუშაობის შესახებ ანგარიში

წარმოგიდგენთ ა.(ა).ი.პ. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების 2021-2022 წლის სასწავლო-სააღმზრდელო წლისა და 2021 წლის ფინანსურ ანგარიშს. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი გაერთიანება დამოუკიდებლად ახორციელებს ბავშვთა საგანმანათლებლო-აღმზრდელობით, შემოქმედებით, სულიერ და ზნეობრივ საქმიანობას, რომელიც წარიმართება დირექტორის მიერ დამტკიცებული წლიური სამუშაო გეგმის შესაბამისად. ჩვენი საქმიანობა ეფუძნება შრომის შინაგანაწესს (N64 108 05/02/2020), რომელიც შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსის“, საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ”, სხვა ნორმატიული აქტებისა და დამფუძნებლის მიერ დამტკიცებული წესდების შესაბამისად. დაწესებულების თანამშრომელთა მოვალეობები განისაზღვრება დამტკიცებული სამუშაოთა აღწერილობით, რომელიც წარმოადგენს შინაგანაწესის და შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ა.(ა).ი.პ. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანება სარგებლობს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 23 თებერვლის ბრძანება N ბ36.66220549 დამტკიცებული საშტატო განრიგით.

დღეის მდგომარეობით გაერთიანებაში დასაქმებულია 296 თანამშრომელი.

- ადმინისტრაცია (23 თანამშრომელი).
- სკოლამდელი სექტორი (221 თანამშრომელი)
- სახელოვნებო სექტორი (13 თანამშრომელი)
- სამუსიკო სექტორი (18 თანამშრომელი)
- მოსწავლე-ახალგაზრდობის სექტორი (23 თანამშრომელი)
- სალოტბარო სექტორი (2 თანამშრომელი) ხალხური სიმღერა და საეკლესიო გალობა.

2021 წლის აგვისტოდან გაერთიანებაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს MSDA ელექტრონულ სისტემაში, რომელშიც ჩართულია 14 თანამშრომელი.

მიზანი იმისა რომ პანდემის პერიოდში მომხდარიყო მუნიციპალური სამსახურების სხვადასხვა ელექტრონული საქმის წარმოების გამარტივების პროცესის ხელშეწყობა გაამართლა.

ფინანსური ანალიზი

წარმოგიდგენთ ინფორმაციას ა.(ა).ი.პ. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიაენების 2021 წლის საანგარიშო წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან და გაერთიანების მიერ სხვა შემოსავლებიდან მიღებული თანხების ხარჯვის მიზნობრივად გამოყენების შესახებ.

ა.(ა).ი.პ. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიაენების 2021 წლის წლიური ბიუჯეტი განისაზღვრა 1500350 ლარით. მ/შორის 2021 წლის სუბსიდია შეადგენს 1455000 ლარს. საკუთარი შემოსავლები - 20250 ლარს, ხოლო ნაშთი 2021 წლის 1 იანვრისათვის იყო 25100 ლარი. წლის ბოლოსათვის განხორციელდა საკუთარი შემოსავლების შემცირება 4850 ლარით და დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობამ შეადგინა 1495500 ლარი. ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 1408900 ლარი, საიდანაც:

ა) თანამდებობრივი სარგო - 1 121 500 ლარი

ბ) საქონელი და მომსახურეობა -239 430 ლარი.

- მ/შორის: შტატგარეშეთა ანაზღაურება - 45000
- მივლინება -530.00
- საკანცელარიო ხარჯი -2000.00
- სასტამბო ხარჯი -1500
- კატრიჯების დამუხტვა -300
- ავეჯი -3700
- სანიტარული მომსახ-ბა -5800
- კავშირგაბმულობა -3100
- კომუნალური -33 930 (დენი-12080, გაზი -17800, წყალი-2700)
- კანალიზ-150
- შეშა - 1200
- კვება - 69 900
- საწვავი - 1000
- სატრანსპორტო მომს. - 1270
- სხვა საქონელი და მომს.- 71 400

გ) სოციალური დახმარება - 3 200 ლარი
დ) არაფინანსური აქტივების შეძენა - 44 770 ლარი

მუხლობრივი ანალიზი ცხადყოფს რომ ხელფასების მუხლში დაგეგმილი ფონდი იყო 1136400 ლარი, ფაქტობრივი შესრულება 1121400 ლარი სხვაობა 15000 ლარი წარმოადგენს ვაკანტური თანამდებობების ხელფასების ეკონომიას.
საქონელი და მომსახურეობა 310630 ლარი გეგმა, შესრულებაა 239600 ლარი სხვაობა 71000 ლარი. აქედან 60000 ლარი არის ეკონომია ბავშვთა კვებაში. აღნიშნული ეკონომია გამოიწვია ქვეყანაში არსებულმა ეპიდემიოლოგიურმა სიტუაციამ, რის გამოც სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში ფიქსირდებოდა წერტილოვანი შეზღუდვები. იგივე მიზეზის გამო 7300 ლარის ეკონომია გვაქვს კომუნალურ ხარჯებში სადაც დამტკიცებული გეგმა იყო 41200 ლარი, ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 33900 ლარი.
საქონელი და მომსახურების მუხლში ხარჯვის მდგომარეობა ასეთია: შტატგარეშე ანაზღაურება, მივლინება, საკანცელარიო და სამეურნეო საქონლის შეძენის, ინვენტარის შეძენის, კავშირგამბულობისა და საფოსტო მომსახურების ხარჯების, საწვავისა და სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებს შორის კანონზომიერება დაცულია. ასევე დაცულია კანონზომიერება სხვა საქონელი და მომსახურეობა და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში.
არაფინანსური აქტივებიდან ახალი სტანდარტების შესაბამისად საბავშვო ბაღების სამზარეულოებისათვის შეძენილ იქნა ელექტრო ქურები შპს „ტრინოქს“-ში, ღირებულებით **24050** ლარი. ელ. ქურების ფუნქციონირებისათვის საჭირო გახდა საბავშვო ბაღებში: სოფ. როკითის, ვარციხის, როხის, წითელხევის, დიმის, ბაღდათის N1 და ბაღდათის N2 საბავშვო ბაღებში ელექტრო სიმძლავრის გაზრდა, რაზედაც დახარჯულია 10350 ლარი, დიმის N2 საბავშვო ბაღში ბუნებრივი გაზის შეყვანაზე დაიხარჯა 1018,22 ლარი. შეძენილი იქნა სოფ. დიმის N1 საბავშვო ბაღისთვის პანელური ღობე 3510 ლარის ღირებულებით, შეძენილია სკანერის აპარატები 2150 ლარის და შეძენილია აგრეთვე ორი კონდიციონერი ღირებულებით 3698 ლარი. სულ არაფინანსური აქტივების ზრდისთვის დაიხარჯა 44770 ლარი.

სხვა საქონელი და მომსახურეობის მუხლიდან:

საბავშვო ბაღებში დენის სიმძლავრის გაზრდისთვის საჭირო გახდა ახალი ელექტრო გაყვანილობის გაკეთება, შეძენილი იქნა 7905 ლარის მასალები, მომსახურეობაზე გადახდილია 2000 ლარი. შეძენილ იქნა სკამები და საბავშვო ბაღებისთვის სამზარეულოს კარადები, რისთვისაც გაიხარჯა 3667 ლარი. შეძენილია სამზარეულოს ჭურჭელი შპს აზიტადან 1502 ლარის. დიმის N1 საბავშვო ბაღის ეზოს და სივრცის კეთილმოწყობისთვის შეძენილ იქნა 270 ცალი მარადმწვანე დეკორატიული მცენარე ტუია 2400 ლარის, დამზადდა სოფ. როხის და სოფ. ფერსათის საბავშვო ბაღებისათვის ახალი სავენტილაციო სისტემა, სოფ. 1 ობჩის და სოფ. 2 ობჩის საბავშვო ბაღებისათვის შეძენილ იქნა ვენტილიატორები, მომსახურეობაზე დაიხარჯა 3000 ლარი. შეძენილია სურსათის (კერძების) ტემპერატურისა და ჰაერის ფარდობითი ტენიანობის კონტროლისათვის კონტაქური თერმომეტრები 2405 ლარის. სამუსიკო სკოლისთვის დამონტაჟდა 2520 ლარის ღირებულების დიოდური ნათურები. სოფ. წითელხევის ხელოვნების სკოლის დარბაზისათვის შეძენილ იქნა 690 ლარის ფარდები. საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული წერტილების სისტემის (HACCP) დანერგვისათვის, რომელიც მოიცავდა შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას, ტექნიკურ ანალიზს, საკონსულტაციო და სატრენინგო მომსახურეობას, ორგანიზაციამ გადაიხადა 6300 ლარი. 2021 წელში საბავშვო ბაღების აღმზრდელების პროფესიული განვითარებისათვის ჩატარდა გადამზადება-ტრენინგი რისთვისაც გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 4910 ლარი, მომსახურეობა გაგვიწია ააიპ „კავშირი საქართველოს პორტიჯის ასოციაცია“. კოსმეტიკური რემონტებისთვის გახარჯული მასალების ღირებულებამ შეადგინა 8900 ლარი. ასევე შეძენილია მენეჯერთა მოთხოვნის საფუძველზე, საჭიროებებიდან გამომდინარე სხვადასხვა სამეურნეო საქონელი.

წლის ბოლოს საახალწლოდ აღსაზრდელებს დაურიგდათ საჩუქრები **8204** ლარის ღირებულების.

შესყიდვები და მატერიალური უზრუნველყოფა

<u>01.01.2021 – 31.12.2021</u> წლის პერიოდში გაფორმდა სულ 119 ხელშეკრულება. 2021 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი სახის შესყიდვები:

- ა.(ა).ი.პ. ,,ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების'' საბავშვო ბაღების აღსაზრდელთათვის დამტკიცებული, კვების მენიუს მიხედვით გაანგარიშებული პროდუქტების რაოდენობის, 2021 წლის წლიური გეგმის და ბაზრის კვლევით დადგენილი სავარაუდო ფასების გათვალისწინებით, სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში გამოცხადებული ელექტრონული ტენდერებიდან 2021 წლის მანძილზე, პროდუქტებზე 9 ელექტრონული ტენდერის შედეგად გაფორმებულია ხელშეკრულებები, 2 გამარტივებული ხელშეკრულება და გადაუდებელი აუცილებლობით გაფორმებული სამი ხელშეკრულება: 1) რძის პროდუქტის, დაფქული მარცვლეულის და თევზის; 2) ქათმის კვერცხის; 3) დაფქული მარცვლეული პროდუქტების.

სულ <u>პროდუქტების ხელშეკრულებების ჯამური თანხა შეადგენს -270865,29 ლარს.</u>

- წლის განმავლობაში ორჯერ გაფორმდა ხელშეკრულება ინტერნეტმომსახურეობაზე შპს ,,აირმაქსთან'', დაწესებულების გაერთიანებისათვის სულ თანხით - 840,00 ლარი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სექტორისათვის სულ თანხით - 560,00 ლარი, სოფ. წითელხევის კ. ფოცხვერაშვილის სახელობის სახელოვნებო სკოლისათვის სულ თანხით -280,00 ლარი და ვ. ქაშაკაშვილის სახ. სამუსიკო სკოლისათვის - 395,00 ლარი. **<u>სულ ინტერნეტმომსახურეობაზე გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამური თანხა შეადგენს 2075 ლარს.</u>**
- ქ. ბაღდათის #1, ბაღდათის #2, სოფ. წყალთაშუის, სოფ. დიმის #1, სოფ. როკითის, სოფ. დიდველას, სოფ. როხის, სოფ. ვარციხის, სოფ. წითელხევის, სოფ. 1 ობჩის; სოფ. 2 ობჩის #1 და სოფ. ფერსათის საბ. ბაღში ელექტრო ქურების დასამონტაჟებლად შეძენილია საჭირო მასალები: ალუმინის კაბელი; ელ. როზეტი; გარე მონტაჟის ჩამრთველი, სპილენძის კაბელი; კაბელ-არხი; მოდულიანი

კლემნიკი; პასტმასის ხამუთი; ავტომატ. ამომრთველი; ავტომატ. ამომრთველის ყუთი; ელ. დამცველის ყუთი; დუბელი და იზოლენტა თანხით 7971,94 ლარი (სხვადასხვა შესყიდვის კოდით) და აღნიშნული შეძენილი მასალების ს/ბაღებში მონტაჟის მომსახურეობაზე გაფორმდა ხელშეკრულება თანხით 2000 ლარი. დიდველაში ხანძრის გამო დაზიანებული ელ. გაყვანილობისათვის შეძენილი იქნა 30 მეტრი სიგრძის კაბელი ტანხიტ 660 ლარი.

- ა(ა)იპ ,,გლობალური კონსალტინგის და განვითარების ცენტრი''-თან, <u>16 საბავშვო ბაღისათვის HACCP სისტემის შემუშავება/დანერგვაზე (გეპ ანალიზი, HACCP სისტემის დოკუმენტაციის მომზადება, ტექნიკური ანალიზი და საკონსულტაციო მომსახურებები) გაფორმდა ხელშეკრულება თანხით 4800 ლარი და 16 საბავშვო ბაღში გაწეულ სატრენინგო მომსახურეობაზე საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების HACCP სისტემასთან დაკავშირებით თანხით 1500 ლარი.</u>

- საბავშვო ბაღებში ორჯერ წლის განმავლობაში გაფორმებულია გამარტივებული ხელშეკრულებები **შპს ,,ქუთაისის დეზინფექციისა და სპეც. ეპიდ ზედამხედველობის სამსახური''**: რეზერვუარების დეზინფექციაზე სულ თანხით -1610,25 დერატიზაცია-დეზინსექციაზე სულ თანხით -2784 ლარი და წყლის ბაქტერიოლოგიური კვლევაზე სულ თანხით - 2004 ლარი. **<u>სულ ხელშეკრულებების ჯამური თანხა შეადგენს- 6398,25 ლარს.</u>**
- ტრანსპორტირებაზე წლის მანძილზე გაფორმებული ხელშეკრულებები: ქ.თბილისის მერიიდან გადმოცემული საბავშვო ავეჯის ტრანსპორტირებაზე ქ. თბილისიდან- ქ. ბაღდათში თანხით- 800 ლარი; ვ. ქაშაკაშვილის სახ. სამუსიკო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირებაზე კონკურსისათვის ქ. ბაღდათი-ქ. თბილისი-ქ. ბაღდათი თანხით- 200 ლარი; სოფ. დიმის N1 საბ/ბაღის შემოსაღობად პანელური ღობის ტრანსპორტირებაზე ქ. თბილისიდან- ქ. ბაღდათში თანხით- 200 ლარი; საბავშვო ბაღებისათვის საკანცელარიო მასალების, დასასუფთავებელი საშუალებების, სამეურნეო მასალების და ჭურჭელის ტრანსპორტირებაზე, ქ. ქუთაისიდან- ქ. ბაღდათში თანხით 70 ლარი. **სულ ტრანსპორტრებაზე ჯამური თანხა შეადგენს: 1270 ლარი.**
- **<u>საფოსტო-საკურიერო მომსახურეობა ზე გაფორმდა ხელშეკრულება ,,საქართველოს ფოსტა''-სთან, თანხით 100 ლარი. საბავშვო ბღებში</u> საკანალიზ. ავზების წმენდაზე ინდ.მ. ,,რომან ლელაძე''-სთან 150 ლარი.**

- **თხევად აირზე გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმებული ხელშეკრულებების თანხა შეადგენს- 1157 ლარს.**
- კონსოლიდირებული შესყიდვის გზით 03.12.2021 წელს სს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია''-სთან გაფორმებულია ხელშეკრულება საწვავზე -ევრორეგულარი, 340 ლიტრზე, **თანხით -986 ლარი.**
- საკანცელარიო ნივთებიდან გაფორმდა ხელშეკრულებები: საბეჭდი ქაღალდის თაბახის ფურცლების კონსოლიდ. ტენდერით შესყიდვაზე შპს ,,პენსან ჯორჯია''-სთან, თანხით- 1024 ლარი და სხვადასხვა საოფისე და საკანცელარიო ნივთების (სხვადასხვა შესყიდვის კოდით) გამარტივებულ შესყიდვაზე თანხით- 3272,35 ლარი. **<u>სულ საბეჭდი ქაღალდის და საკანცელარიო ნივთების სახელშეკრულებო ჯამური თანხა შეადგენს: 4296,35 ლარს.</u>**
- სადეზინფექციო საშუალებებზე გაფორმებულია ხელშეკრულებები გამარტივებული შესყიდვის გზით: დეზობარიერზე თანხით-136 ლარი; ერთჯერად ხალათზე, ქუდზე და დამცავ ფარზე თანხით -195,00 ლარი;
- კონსოლიდირებული შესყიდვის საშუალებით ჩვენს მიერ კონსოლიდირებული მენეჯმენტის სისტემაში დაგეგმილი რაოდენობის გათვალსწინებით გაფორმდა ხელშეკრულებები: 1) დეზობარიერის სადეზინფექციო ხსნარზე თანხით-960,00 ლარი; 2) სადეზინფ. რეზინა ხალიჩა-დეზობარიერზე თანხით-399,90 ლარი; 3) ხელის სადეზინფექციო ხსნარზე -242,50 ლარი; **<u>სულ კონსოლიდ. ტენდერის ფარგლებში შესყიდული საშუალებების ჯამური თანხა- 1602,40 ლარი.</u>**

- გაფორმებულია სხვადასხვა ხელშეკრულებები გამარტივებული შესყიდვის გზით: საშეშე მერქანი - შეშაზე სსიპ ,,ეროვნული სატყეო სააგენტოს''-სთან თანხით 1215 ლარი, საბავშვო ბაღებისათვის ფერადი წიგნების ბეჭდვაზე, სარეგისტრაციო ჟურნალების ბეჭდვაზე, წითელხევის სახ. სექტორისათვის ფოტოების, აფიშების და მოწმობების და მუსიკალური სექტორისათვის მოწმობების ბეჭდვაზე თანხით-1147,90 ლარი, საბავშვო ბაღებისათვის თვალსაჩინოების კრებულის შესყიდვაზე თანხით 900 ლარი და საბავშვო წიგნების თანხით 4986,95 ლარი. **სულ ხელშეკრულებების ჯამური თანხა შეადგენს 5886,95 ლარის.**
- ვ. ქაშაკაშვილის სახ. სამუსიკო სექტორისათვის და სოფ. წითელხევის კ. ფოცხვერაშვილის სახ. ხელოვნების სექტორისათვის შეძენილია დიოდური ლედ ნათურები შპს ,,EL-GROUP''-თან თანხით- 2520 ლარი.
- ბაღდათის #1 საბავშვო ბაღში, სოფ. დიმის #1 საბ. ბაღში და სოფ. ვარციხის საბ. ბაღში სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურეობაზე გაფორმდა ხელშეკრულება შპს ,,მშენებელი 21''-სთან თანხით 1250 ლარი.
- მობ. სატელეფონო მომსახურეობის 2021 წლის ხარჯმა შეადგინა 1495 ლარი.

➢ პერსონალური კომპიუტერების, კარტრიჯების შეკეთების და დატუმბვის მომსახურეობაზე და ახალი კარტრიჯების შეძენაზე გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამური თანხა შეადგენს - 1445 ლარს.

➢ სახანძრო უსაფრთხოების სწავლებაზე სსიპ ,,სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო'' -სთან გაფორმდა ხელშეკრულება თანხით 250 ლარი. სახანძრო უსაფრთხოების სწავლებაზე- ტრენინგისათვის -წარმომადგენლობით ხარჯისათვის გაფორმებული ხეშეკრულების თანხა შეადგენს - 41,50 ლარი. <u>**სულ ჯამური თანხაა - 291,50 ლარი.**</u>

➢ <u>**2021 წლის მანძილზე შეძენილია სხვადასხვა სამეურნეო საქონელი თანხით - 7929 ლარი. საბავშვო ბაღებისათვის დასაფთავებელი, საწმენდი და საპრიალებელი საშუალების შესყიდვაზე გაფორმებულია ხელშეკრულება თანხით - 5151,9 ლარი და ჭურჭელზე თანხით 1502 ლარი.**</u>

➢ <u>**გაერთიანებისათვის და საბავშვო ბაღებისათვის შეძენილ ავეჯზე ხელშეკრულების თანხა შედაგენს - 1815 ლარი და ავეჯის შეკეთებაზე თანხა- 3368 ლარი.**</u>

➢ სოფ. როხის საბ. ბაღში აღსაზრდელთა ჯგუფისა და საძინებელი ოთახების იატაკის მოხვეწაზე საჭირო მასალების თანხა შეადგენს 1057 ლარს, ხოლო იატაკის მოხვეწის მოსახურეობაზე გაფორმებულია ხელშეკრულება ინდ.მ. ,,მირიან ხიზანეიშვილთან'' თანხით - 925 ლარი. სულ აღნიშნული ბაღში მასალების და მოსახურეობის თანხა შეადგენს 1982 ლარს.

➢ სოფ. როხის საბ. ბაღში აღსაზრდელთა ჯგუფისა და საძინებელი ოთახების იატაკის მოხვეწაზე გაფორმებულია ხელშეკრულება ინდ.მ.,,,მირიან ხიზანეიშვილთან'' თანხით - 925 ლარი.

➢ დიდველის ს/ბაღში დამზადდა მეტალოპლასტმასის კარი და ფანჯრები თანხით 1000 ლარი ხოლო სოფ. დიმის N1 და დიდველის ს/ბაღში ფანჯრის ბადე, 1 ობჩის ს/ბაღში მეტ. კარის საკეტი, კარის ჩარჩოში ჩასასმელი გული, ფანჯრის ბადე; 2 ობჩის N1 ს/ბაღში მეტ. პლატმასის კარები; 2 ობჩის N2 ს/ბაღში მეტალოპლასტმასის 2- ფრთიანი კარები, ვარციხის ს/ბაღში კარების ბადე და მეტ. პლასტმასის კარები, რომელთა შესყიდვაზე გაფორმდა ხელშეკრულება თანხით- 2800 ლარი; **სულ თანხით - 3800 ლარი.**

➢ გაერთიანებაში შეძენილი იქნა კონდენციონერები მომწოდებელთან ,,ომეგა''-სთან თანხით - 3698 ლარი, და მონტაჟის მომსახურეობა თანხით 300 ლარი.

➢ სოფ. 2 ობჩის N2 ს/ბაღში განხორციელდა გათბობის სისტემის დამონტაჟება, შეკეთება, შემავსებელი ვინტილის შეცვლა- გაშვება, აღნიშნულ მომსახურეობაზე გაფორმდა ხელშეკრულება თანხით 245 ლარი.

➢ სოფ. 2 ობჩის N2 ს/ბაღში განხორციელდა გათბობის სისტემის დამონტაჟება, შეკეთება, შემავსებელი ვინტილის შეცვლა- გაშვება, აღნიშნულ მომსახურეობაზე გაფორმდა ხელშეკრულება

თანხით 245 ლარი ხოლო სოფ ხანის საბავშვო ბაღში წყლის გამაცხელებლის დამონტაჟება, ბეტონის საფარის დასხმა და მეთლახის დაგება, კედელზე ფითხის გადაკვრა და ვადაემულსიით შეღებვა თანხით 130 ლარი. სულ ხელშეკრულებების ჯამური **თანხა შეადგენს 375 ლარი.**

- სოფ. როხის და ფერსათის საბ. ბაღისათვის ახალი სავენტილაციო სისტემის დამზადება-მონტაჟის, 1 ობჩის და 2 ობჩის N2 ს/ბაღისათვის ვინტილიატორის შეძენის და მილების დამზადების მომსახურეობის; 13 საბავშვო ბაღში ბადის დამზადების მომსახურეობაზე გაფორმდა ხელშეკრულება ინდ.მ. ,,ალექსანდრე აზნარაშვილთან'' თანხით -3000 ლარი.
- სოფ. დიმის N1 ს/ბაღი ეზოს შემოსაღობად შეძენილი იქნა პანელური ღობე მომწოდებელთან შპს,,ტრასა'' -სთან თანხით -3510 ლარი და ტუიას ნერგები მომწოდებელთან ფ.პ ,,ლევან მოსულიშვილი''-სთან თანხით -2400 ლარი.
- სოფ. კ. ფოცხვერაშვილის სახ. წითელხევის სახ. სექტორის დარბაზისათვის შეძენილი იქნა ფარდები თანხით 690 ლარი. წითელხევის სახ. სექტორის ღონისძიებისათვის: ,,პროექტი - ბაღდათის ღირსეული ადამიანები'' სამახსოვრო საჩუქრის -სუვენირის შეძენაზე თანხით 33 ლარი.
- საბავშვო ბაღების აღსაზრდელთათვის საახალწლო სასაჩუქრე ტკბილეულზე გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების შედეგად გაფორმებულია ხელშეკრულება მომწოდებელტან შპს ,,ციხისთავი" თანხით 6594 ლარი და სასაჩუქრე პაკეტებზე თამნხით 1610 ლარი. სულ 698 აღსაზრდელზე საახალწლო ნაბათის ღირებულებამ შეადგინა 8204 ლარი.
- გაერთიანებაში შეძენილი იქნა შავ-თეთრი პრინტერები შპს ,,ნოვატელ+''-თან თანხით 2150 ლარი.

- **01.01.2022 – 10.06.2022** წლის პერიოდში გაფორმდა სულ 72 ხელშეკრულება. 2022 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი სახის შესყიდვები:
- ა.(ა).ი.პ. ,,ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების'' საბავშვო ბაღების აღსაზრდელთათვის დამტკიცებული, კვების მენიუს მიხედვით გაანგარიშებული პროდუქტების რაოდენობის, 2022 წლის წლიური გეგმის და ბაზრის კვლევით დადგენილი სავარაუდო ფასების გათვალისწინებით, სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში გამოცხადებული ელექტრონული ტენდერებიდან 2022 წლის I ნახევარში 9 შემდგარი ელექტრონული ტენდერია სულ ხელშეკრულებების ჯამური თანხით - 144258,22 ლარი, 1 არ შემდგარი და 1 უარყოფითად დასრულებული ელექტრონული ტენდერი.

2022 წლის მანძილზე, პროდუქტებზე 2 გამარტივებული ხელშეკრულებაა გაფორმებული: ჯემი და ტომატის თანხით: 2940 ლარი და გადაუდებელი აუცილებლობით გაფორმებული ხელშეკრულება თანხით - 1840 ლარი.

სულ პროდუქტების ხელშეკრულებების ჯამური თანხა შეადგენს -149038,22 ლარს.

- წლის განმავლობაში წლის დასაწყისში გაფორმდა ხელშეკრულება შპს ,,აირმაქსთან'' ინტერნეტმომსახურეობაზე, დაწესებულების გაერთიანებისათვის სულ თანხით - 840,00 ლარი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სექტორისათვის სულ თანხით - 350,00 ლარი, სოფ. კ. ფოცხვერაშვილის სახ. წითელხევის სახ. სკოლისათვის სულ თანხით -175,00 ლარი და ვ. ქაშაკაშვილის სახ. სამუსიკო სკოლისათვის - 175,00 ლარი. **სულ ინტერნეტმომსახურეობაზე გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამური თანხა შეადგენს 1540 ლარს.**
- სასწავლო წლის დაწყებამდე 2022 წლის იანვარში საბავშვო ბაღებისათვის გაფორმებულია გამარტივებული ხელშეკრულებები **შპს ,,ქუთაისის დეზინფექციისა და სპეც. ეპიდ ზედამხედველობის სამსახური''**-თან: რეზერვუარების დეზინფექციაზე თანხით -898,35 დერატიზაცია-დეზინსექციაზე თანხით -1504 ლარი და წყლის ბაქტერიოლოგიური კვლევაზე თანხით - 2128 ლარი. **სულ ხელშეკრულებების ჯამური თანხა შეადგენს- 4530,35 ლარს.**

- შპს „იმერეთის სახანძრო დაცვა“ -სთან გაფორმებულია ხელშეკრულება: საბავშვო ბაღებისათვის ახალი ცეცხლმაქრობების შეძენაზე და არსებული ცეცხლმაქრობების დამუხტვაზე თანხით 1512 ლარი.
- - ქ. ბაღდათის ვ. ქაშაკაშვილის სახ. მუსიკალური სექტორში კედლის გაზის ქვაბის და დასამონტაჟებელი ნაწილების, ქ. ბაღდათის მოსწავლე-ახალგაზრდობის სექტორში ქვაბის დასამონტაჟებლად საჭირო მასალების, ქ. ბაღდათის N1 საბ. ბაღში, სოფ. 1 ობჩის საბავშვო ბაღში და სოფ. 2 ობჩის N2 საბ. ბაღში ქვაბების შესაკეთებლად საჭირო მასალების შესაძენად გაფორმებულია ხლეშეკრულება **შპს „ეკოლ გრუპი”**-თან თანხით 3848 ლარი.

- სამუსიკო სკოლაში: ძველი გათბობის ქვაბის დემონტაჟი და ახალი გათბობის ქვაბის მონტაჟი; მოსწავლე ახალგაზრდობის სექტორში: ძველი გათბობის ქვაბის დემონტაჟი და ახალი გათბობის ქვაბის მონტაჟი; ბაღდათის N1 საბავშვო ბაღში 3 (სამი) ქვაბის სერვისი შსაბამისი ნაწილების გამოცვლით; სოფ. I ობჩის საბავშვო ბაღში და სოფ. II ობჩის N2 საბავშვო ბაღში ქვაბის სერვისი (შეკეთება) დემონტაჟი-მონტაჟით, მომსახურეობაზე გაფორმდა ხელშეკრულება ინდ.მ. ,,გიორგი ახრახაძე’’-სთან თანხით -1200 ლარი.

- ბაღდათის N2 საბ. ბაგა-ბაღში 2 ცალი წყლის გამათბობელის და სოფ 1 ობჩის საბ. ბაღში 2 ცალი წყლის გამათბობელის დამონტაჟების მომსახურეობაზე მომწოდებელთან - ინდ.მ. ,,ბიძინა ყიფიანი’’ თანხით - 250 ლარი. აღნიშნულ მომსახურეობებზე ჯამური ტანხა შეადგენს 5298 ლარს.

- კონსოლიდირებული შესყიდვის საშუალებით ჩვენს მიერ კონსოლიდირებული მენეჯმენტის სისტემაში დაგეგმილი რაოდენობის გათვალსწინებით გაფორმდა ხელშეკრულებები: 1)სადეზინფ. რეზინა ხალიჩა-დეზობარიერზე თანხით-371,70 ლარი; 2) ხელის სადეზინფექციო ხსნარზე -260 ლარი; 3) უკონტაქტო თერმომეტრები თანხით- 90 ლარი, არასტერილურ ბინტზე და სამედიცინო ბამბაზე თანხით 121,68 ლარი, ერთჯერად პირბადეზე თანხით- 69 ლარი, ეთანოლზე თანხით- 191,52 ლარი, ერთჯერად ვინილის ხელთათმანზე - 211,25 ლარი. <u>სულ კონსოლიდ. ტენდერის ფარგლებში შესყიდული სამედიცინო და სახარჯ მასალზე ხელსეკრულებების ჯამური თანხა შეადგენს - 1315,50 ლარი.</u>

<u>ხოლო სხვა სამედიცინო სახარჯ მასალებზე, ერთჯერად ქუდზე და ხალათზე რომელიც არ არის გათვალისწინებული კონსოლიდირებული მენეჯმენტის სისტემაში, გაფორმებულია გამარტივებული ხელშეკრულები მომწოდებლებთან და ჯამური თანხა შეადგენს 1199,42 ლარს.</u>

- პერსონალური კომპიუტერების, კარტრიჯების შეკეთების და დატუმბვის მომსახურეობაზე და ახალი კარტრიჯების შეძენაზე გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამური თანხა შეადგენს - 1400 ლარს.
- საბავშვო ბაღებისათვის სარეგისტრაციო ჟურნალების ბეჭდვაზე გაფორმებულია ხელშეკრულება შპს ,,მერანთან’’ თანხით - 319 ლარი.
- საკანალიზაციო ავზების წმენდაზე: ბაღდათის N1 ს/ბაღში, სოფ. წითელხევის ს/ბაღში, სოფ. ფერსათის ს/ბაღში, სოფ. დიმის N1 ს/ბაღში, სოფ. დიმის N3 ს/ბაღში, სოფ. წყალთაშუის ს/ბაღში და სოფ. 1 ობჩის ს/ბაღში, გაფორმებულია 3 ხელშეკრულება მომწოდებელთან ინდ.მ. ,,რომან ლელაძე’’-სთან და ჟამური სახელშეკრუებო თანხა შეადგენს -1380 ლარს.
- საფოსტო-საკურიერო მომსახურეობაზე გაფორმებულია ,,საქართველოს ფოსტა’’-სთან, <u>თანხით 50 ლარი.</u>
- ,,სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია’’-სთან_გაფორმებულია ხელშეკრულება გაერთიანების ფინანსური მენეჯერისათვის- ტრენინგის ორგანიზება და ჩატარების (სასწავლო კურსის დასახელება - ,,ფინანსური ანგარიშგების ფორმები - მათი შევსების წესი“ შესახებ თანხით 148 ლარი.
- საკანცელარიო ნივთების (სხვადასხვა შესყიდვის კოდით) გამარტივებულ შესყიდვით გაფორმებული ხელსეკრულებების ჯამური თანხა შეადგენს - 2891,85 ლარს.

- 2022 წლის მანძილზე საბავშვო ბაღებისათვის შეძენილია სხვადასხვა სამეურნეო საქონელი (სხვადასხვა შესყიდვის კოდით) თანხით - 4978 ლარი. დასაფთავებელი, საწმენდი და საპრიალებელი საშუალების (სხვადასხვა შესყიდვის კოდით) შესყიდვაზე გაფორმებულია ხელშეკრულება თანხით - 5206,60 ლარი და ჭურჭელზე თანხით 1612,50 ლარი.
- ტრანსპორტირებაზე წლის დასაწყისიდან გაფორმებულია 3 ხელშეკრულება: საბავშვო ბაღებისათვის დასასუფთავებელი საშუალებების, სამეურნეო მასალების და ჭურჭელის ტრანსპორტირებაზე, ქ. ქუთაისიდან- ქ. ბაღდათში თანხით 80 ლარი. სამუსიკო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირებაზე ქ. ბაღდათი- სენაკი-ბაღდათი ,,სენაკის არტ ფესტივალი''-ში მონაწილეობისათვის თანხით- 200 ლარი; და სამუსიკო სკოლის მოსწავლეების ქ. ბაღდათი-სენაკი - ბაღდათი, სენაკის ,,არტ ფესტივალი''-ს დაჯილოება და გალა კონცერტზე დასასწრებად, ტრანსპორტირების მომსახურეობაზე თანხით 200 ლარი. **სულ ტრანსპორტრებაზე ჯამური ხელსეკრულებების თანხა შეადგენს: 480 ლარი.**
- **საბავშვო ბაღებისათვის სარეზერვოდ, თხევად აირზე გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმებულია ხელშეკრულება ინდ.მ. ,,მერაბ გენელიძე''-სთან, თანხით - 630 ლარს.**
- გაფორმებულია სხვადასხვა ხელშეკრულებები გამარტივებული შესყიდვის გზით: დაწესებულების გაერთიანებისათვის - საოფისე ბეჭდის მექანიზმზე თახით- 25 ლარი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სექტორში დაგეგმილი კალიგრაფისტთა'' კონკურსისათვის და ინტელექტუალური თამაშისათვის ,,რა სად როდის'' სიმბოლური პრიზების შეძენაზე გაფორმებული იქნა ხელსეკრულება ინდ.მ. ,,ელისო კობახიძე''-სთან თანხით 79 ლარი.
- ბაღდათის N1 ს/ბ, ბაღდათის N2 ს/ბ, სოფ. დიმის N2 ს/ბ, სოფ. დიმის N3 ს/ბ, სოფ. დიდველის ს/ბაღის, სოფ. ვარციხის ს/ბ, სოფ. 1 ობჩის, სოფ. 2 ობჩის N1 ს/ბ, სოფ. ხანის ს/ბაღისათვის: სამზარეულოს პერსონალისათვის ძველი კარადების-დაშლა -გადაკეთება-გარდერობების აწყობის და საბავშვო ბაღებისათვის ძველი კარადების დაშლა-გადაკეთება-და ბაღდათის N1 ს/ბაღისათვის საბავშვო მაგიდების აწყობის მომსახურეობის შესყიდვაზე გაფორმებულია ხელშეკრულება ინდ.მ. ,,დავით გუმბერიძე''-სთან თანხით 520 ლარი.
- მობ. სატელეფონო მომსახურეობის 2022 წლის 6 თვის ხარჯმა შეადგინა 1774 ლარი.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი-რეკომენდაციები და რეგულაციები

,,ადრეული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონი აწესრიგებს საყოველთაო ხელმისაწვდომობას, განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძვლებს, დაწესებულებების ორგანიზაციულ სტრუქტურას, ადგენს მათი დაფუძნების, საქმიანობისა და ანგარიშვალდებულების წესს.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები განსაზღვრავენ თუ რა ცოდნას, უნარ-ჩვევებს, ღირებულებებს და დამოკიდებულებებს უნდა იძენდეს ბავშვი სკოლამდელი აღზრდისა განათლების ფარგლებში, ასევე განსაზღვრავს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების გარემოსა და საგანმანათლებლო ხარისხის სტანდარტს. ამ მიმართულებით გაერთიანება ყველაფერს აკეთებს რათა მაქსიმალურად ხელი შეუწყოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მართვას.

სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების დაქვემდებარებაშია 16 საბავშვო ბაღი, სადაც ფუნქციონირებს 32 ჯგუფი (7 - ბაგა, 13 - ასაკობრივი და 12 - შერეული).

2021 – 2022 სასწავლო სააღმზრდელო პროცესი განახლდა 10 ოქტომბერს. 2021 - 2022 სასწავლო-სააღმზრდელო წლის დასაწყისისათვის აღსაზრდელთა საერთო რაოდენობა იყო 697, ხოლო მაისის

თვის მონაცემებით ირიცხება 729 აღსაზრდელი.; შშმ და სსმ აღსაზრდელი – 10. სასკოლო აღსაზრდელია – 218. სასკოლო მზაობის - 43. ბაგაში - ბავშვთა საერთ რაოდენობაა 163. ასაკობრივში 566. (გოგო 361, ბიჭი 368)

№	ბაღების დასახელება	სულ ჯგუფების რაოდენობა	ბაგის აღსაზრდელთა რაოდენობა (2-3 წ.წ.)	აღსაზრდელთა რაოდენობა (3-4 წ.წ.)	აღსაზრდელთა რაოდენობა (4-5 წ.წ.)	აღსაზრდელთა რაოდენობა (5-6 წ.წ.)	ჯამი
1	ბაღდათის №1 საბავშვო ბაგა-ბაღი	6	33	30	16/19	25/23	146
2	ბაღდათის №2 საბავშვო ბაგა-ბაღი	5	26	25	33	30/20	134
3	დიმის №1 საბავშვო ბაგა-ბაღი	3	21	33	23		78
4	დიმის №2 საბავშვო ბაღი	1	30				30
5	დიმის №3 საბავშვო ბაღი	2	12/19				31
6	წითელხევის საბავშვო ბაგა-ბაღი	3	23	27		20	70
7	ფერსათის საბავშვო ბაღი	1	26				26
8	I ობჩის საბავშვო ბაგა-ბაღი	2	20	22			42
9	II ობჩის №1 საბავშვო ბაღი	1	9				9
10	II ობჩის №2 საბავშვო ბაღი	1	10				10
11	როკითის საბავშვო ბაღი	1	20				20
12	დიდველის საბავშვო ბაღი	1	13				13
13	როხის საბავშვო ბაგა-ბაღი	2	28	35			64
14	ვარციხის საბავშვო ბაღი	1	25				25
15	ხანის საბავშვო ბაღი	1	15				15
16	წყალთაშუას საბავშვო ბაღი	1	16				16
	ჯამი	32	163		566		729

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (დანართი #39) ,,ახალი კორონავირუსით (SARS- COV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID–19) დაკავშირებული რეკომენდაციები ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისათვის“, ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისა და ჩვენი დახმარებით ყველა თანამშრომელი გაეცნო რეკომენდაციებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. თანამშრომლებს უტარდებათ გეგმიური ტესტირება კორონავირუსზე შვიდ დღეში ერთხელ. COVID-19 დაფიქსირების შემთხვევაში ჩვენ გაერთიანება ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომლებთან ერთად შესაბამის ღონისძიებებს ვატარებთ, ვახდენთ თანამშრომლებისა და აღსაზრდელების თვითიზოლაციაში გადაყვანას და შესაბამის ჯგუფებში დროებით სასწავლო პროცესი ჩერდება.

საბავშვო ბაღის ყველა აღსაზრდელს გავლილი აქვს სამედიცინო შემოწმება და წარმოდგენილი აქვს ფ.#100.

COVID -19 პანდემიის დაფიქსირების გამო ეტაპობრივად მოგვიწია რამდენიმე საბავშვო ბაღში სააწავლო პროცესის შეჩერება, გავითვალისწინეთ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და საქართველოს კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციები. რეგულაციების სრული დაცვით სასწავლო პროცესი სრულად ნოემბრის თვიდან თექვსმეტივე საბავშვო ბაღში განახლდა.

სააღმზრდელო პროცესის დაწყების წინ, ვირუსის გავრცელების პრევენციისა და რისკების ეფექტური მართვის მიზნით, ყველა სექტორის შიდა პარამეტრებში ჩატარდა პროფილაქტიკური სადეზინფექციო სამუშაოები. მიღებული რეგულაციებისა და ჰიგიენური ნორმების მაქსიმალური დაცვისთვის გაერთიანების მიერ შეძენილი იქნა საჭირო ინვენტარი და სანიტარულ ჰიგიენური საშუალებები (დისტანციური თერმომეტრი, სახის დამცავი ფარები, დეზობარიერის ხალიჩები, ხელის დასამუშავებელი დისპანსერები, ერთჯერადი საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და ,,ვინილის“ ხელთათმანები, ხელის, ზედაპირებისა და დეზობარიერის სადეზინფექციო ხსნარები – სადეზინფექციო კონცენტრანტი ,,დეზოტეკი“ და ხელის ანტიბაქტერიული სადეზინფექციო ხსნარი ,,ედუ/სეპტა). პირველ კვარტალში შემოვიტანეთ ყოველდღიურად გამოსაყენებელი საყოფაცხოვრებო ნივთები (ცოცხი, მაგიდის ტილო, ფეირი, ხელის თხევადი საპონი, სახეხი ,,რაქშა“ და სხვა) განაწილება მოხდა მოთხოვნის საფუძველზე, რომელთა ხარჯვა ხდება მიზანმიმართულად. მენეჯერების მოთხოვნის საფუძველზე ასევე ჩვენს მიერ მოხდა შესყიდვა სხვადასხვა სამეურნეო საქონლის, სამზარეულო ჭურჭლის, რომელიც გადავეცით ბაღებს. ასევე საბავშვო ბაღებს გადაეცათ პირველადი სამედიცინო საშუალებები და მედიკამენტები.

მეთოდკაბინეტი

სასწავლო-სააღმზდელო პროცესს უძღვება მეთოდკაბინეტი, რომლის შემადგენლობაში მეთოდკაბინეტის ხელმძღვანელთან ერთად შედის ფსიქოლოგი, ლოგოპედი და ინკლუზიის სპეცილისტი. მათ მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, რომელიც ეფუძნება სკოლამდელი

აღზრდის სტანდარტებს, რეგულარულად ხდება ბაღებში გასვლა და აღმზრდელის მიერ განხორციელებულ სააღმზრდელო პროცესზე დაკვირვება, შეფასება და შემდგომ უკვე რეკომენდაციების გაცემა.

სასწავლო პროცესის განახლებამდე მოწესრიგდა აღსაზრდელთა პირადი საქმეები, აღსაზრდელთა ამორიცხვა–ჩარიცხვა და დაკომპლექტება.

მოწესრიგდა ჯგუფის დოკუმენტაცია, ფიზიკური გარემო, აღმზრდელების წლიური და ყოველდღიური გეგმა.

სექტემბერში სწავლის დაწყებამდე მოხდა საგანმანათლებლო პერსონალთან შეხვედრა–საუბარი და რეკომენდაციების გაცემა.

ფსიქოლოგის, ლოგოპედის და ინკლუზიის სპეციალისტის მიერ მოკვლეული იქნა შშმ და სსმ ბავშვები და სასწავლო წლის მანძილზე მეთოდკაბინეტის წევრებთან (მეთოდისტი, ინკლუზიის სპეცისლისტი, ფსიქოლოგი) ერთად მუდმივად ხდება დაკვირვება აღსაზრდელებზე, რომელთაც გარკვეული დარღვევა აღენიშნებათ. რთული მდგომარეობის შემთხვევაში, ბავშვის გადამისამართება ხდება განვითარების ცენტრში, სპეციალისტთან, სადაც ხდება მისი შეფასება და ამ შეფასების ფორმაზე დაყრდნობით ხდება, როგორც ბავშვთან, ასევე აღმზრდელთან რეგულარული მუშაობა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის **N 68/ნ** ბრძანებით დამტკიცებული „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული“ -ის მიხედვით, 2024 წლამდე უნდა განხორციელდეს საბავშვო ბაღის პერსონალის გადამზადება, როგორც სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პერსონალის განვითარების მხარდაჭერის, ასევე მოქმედი კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების დროული შესრულების მიზნით, დაიგეგმა აღმზრდელების ეტაპობრივი გადამზადება, დაიდო ხელშეკრულება მომწოდებელთან ,,საქართველოს პორტიჯის ასოციაცია”. 2021 წლის ოქტომბერ–ნოემბრის თვეში 24 აღმზრდელმა გაიარა 66 საათიანი „აღმზრდელ–პედაგოგის ტრენინგ–მოდული“.

დაგეგმილია კიდევ 17 აღმზრდელის გადამზადება, რომელთაც აღმზრდელ პედაგოგის სტატუსის მოსაპოვებლად უნდა გაიარონ „აღმზრდელ–პედაგოგის ტრენინგ–მოდული“.

წლის მანძილზე მონიტორინგის და მეთოდკაბინეტის ჯგუფთან ერთად გასვლას აწარმოებდა საბავშვო ბაღებში, **მიზანი:** საბავშვო ბაღებში არსებული პრაქტიკის ანალიზი და პრაქტიკულ საქმეში აღმზრდელების დახმარება, გამოცდილების გაზიარება. ძირითადად კეთდება შემდეგი სახის ანალიზი:

ა). საორგანიზაციო: მეცადინეობის ადგილი, დაწყების დრო, აღმზრდელის მზადყოფნა აქტივობისათვის (წლიური და ყოველდღიური გეგმა, ჟურნალის წარმოება, თვალსაჩინოება,..)

ყველა ჯგუფი არის ბავშვზე ადაპტირებული, ჯგუფები არის ცენტრებად დაყოფილი, შესასვლელში არის მშობელთა კუთხე, რომელზეც არის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ყველა მშობლისათვის. ყველა

აღმზრდელს აქვს წინასწარ დაგეგმილი წლიური გეგმა, არიან ჩართულები ბავშვებთან თამაშში და სხვა აქტივობებში. ბავშვები აქტიურები არიან, აქვთ ინტერესი, მოსმენის ჩვევა, შეუძლიათ კითხვებზე პასუხის გაცემა, შინაარსის გადმოცემა, თავს გრძნობენ თავისუფლად და კომფორტულად.

ბ). მეცადინეობების მსვლელობა: კარგად აქვთ ორგანიზებული შესავალი, აქტივობები, ძირითადი ნაწილი და შეჯამება, დროის ორგანიზება.

გ). აღმზრდელობითი მხარე: აღმზრდელები იყენებენ სხვადასხვა სახალისო მეთოდებს, თვალსაჩინოებას, საჭირო დროს სთავაზობენ დახმარებას ბავშვებს, რითაც მათ უადვილებენ ახალი ცოდნის ათვისებას, ეხმარებიან მცირე ჯგუფებში მუშაობაში და სათანადო ყურადღებას უთმობენ ბავშვებში თამაშის წახალისებას....

დ). ბავშვების აქტივობა: აქტივობის პროცესში აღმზრდელები შეახსენებენ ჯგუფის წესებს და სთავაზობენ მათ გამოსავალს. ამ შემთხვევაში ბავშვები სწავლობენ ჯგუფში წესების დაცვას ერთმანეთთან პოზიტიურ ურთიერთობას და ქცევის მართვას.

ე). დაკვირვების შემდეგ ხდება აქტივობების დადებითი და უარყოფითი მხარეების განხილვას, მიღებული რჩევებს აღმზრდელები ითვალისწინებენ და პრაქტიკული მაგალითზე დაყრდნობით ბავშვებს ეხმარებიან მიღებული ცოდნის კარგად გათვითცნობიერებაში.

ასევე ყურადღება ექცევა საბავშვო ბაღის თანამშრომლობას სკოლასთან და მშობლებთან.

ბაღებში შექმნილია და ფუნქციონირებს მშობელთა საკონულტაციო საბჭო. აღნიშნულში ჩართულნი იქნებიან შ.შ.მ. აღსაზრდელთა მშობლები. მათი საჭოროების განსაღვრის მიზნით.

დეკემბრის ბოლოს პირველი სემესტრი შეჯამდა საახალწლო ღონისძიებებით.

მეორე სემესტრი, მცირე შეფერხებებით, განახლდა 1 თებერვლიდან.(პანდემიიდან გამომდინარე).

საწავლო პროცესის დასრულებას თითოეული საბავშვო ბაღი აღნიშნავს სხვადასხვა აქტივობითა და ღონისძიებით.

წლის მანძილზე სააღმზრდელო მუშაობის მხრივ პანდემიის გამო ხდებოდა რიგი ჩავარდნები, მაგრამ მთლიანი სასწავლო მასალა ათვისებულია და პროცესის მიმდინარეობა შემიძლია შევაფასო დადებითად.

საბავშვო ბაღის ყველა თანამშრომელს სრულად აქვს გათვიცნობიერებული ის პასუხისმგებლობა რაც უსაფრთხო გარემოს უქმნის ჩვენს აღსაზრდელებს. ექთნებს აქვთ პასუხისმგებლობა და ვალდებულება თვალყური ადევნოს პატარების ჯანმრთელობას, კვების პროცესის მიმდინარეობას და ყოველდღიური კონტროლი აქვს მთლიანი შენობის სანიტარულ–ჰიგიენურ მდგომარეობაზე.

ბავშვების ნორმალური ზრდა განვითარებისთვის აუცილებელია უვნებელი და ჯანსაღი კვება.

2021 წლის იანვრიდან საქართველოს მთავრობის #487 დადგენილებით შემუშავდა მენიუ, ბრძანებით დამტკიცებული გვაქვს 10 დღიანი მენიუ, რომელიც არის კალორიული და აღსაზრდელთათვის ათვისებადი, საბავშვო ბაღში არის 4–ჯერადი კვება, სამი ძირითადი და ერთი წახემსება.

2021 სასწავლო წლის დამტკიცებული საორიენტაციო პერსპექტიული მენიუ ასევე ითვალისწინებს სამ ძირითად კვებას და ერთ წახემსებას. ერთი ბავშვის კვება თვეში შეადგენს 41,59თეთრს და დღეში 1,98 თეთრს. საშუალო კალორია არის 1183.48.

2022 წლიდან ერთი ბავშვის კვების თანხა დღეში შეადგენდა ---2.86 თეთრს და თვეში --58.67 თეთრს, საშუალოდ დღეში აღსაზრდელი იღებს---1180,5 კალორიას.

საბავშვო ბაღებისთვის კვების პროდუქტების მოწოდებას ახდენს ტენდერში გამარჯვებული რამდენიმე კომპანია:

1. პურის და ფუნთუშის მოწოდებას აწარმოებს შ.პ.ს. ,,სამება“, დირექტორი – კახაბერ გიქოშვილი, პური შემოდის შეფუთული, ეტიკეტირებული. (რომელზედაც აღნიშნულია პურის გამოშვებისა და შენახვის დრო).

2. საქონლის და ქათმის ხორცი.
   ი/მ ავთანდილ მელაძე .
   საქონლისა და ქათმის ხორცის მოწოდება ხდება ყოველი კვირის სამშაბათ დილით, ხორცის ყოველ მოწოდებაზე მეწარმე წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაბამის ვეტერინალურ მოწმობას – ფ#2, რომელიც გაცემული არის ლიცენზირებული სასაკლაოს მიერ, თითოეულ საბავშვო ბაღს კი მიეწოდება ეტიკეტირებული ხორცი, ეტიკეტზე მითითებულია შენახვის ტემპერატურა, დაკვლის დრო და აღიარების ნომერი.
3. შ.პ.ს. ,,ქუმი“ – დირექტორი დათო მურჯიკნელი, გვაწვდის შემდეგი დასახელების პროდუქტს – რძის ნაწარმი (კარაქი, სუფრის ყველი, მაწონი, არაჟანი, შესქელებული რძე) და სხვადასხვა პროდუქტი (ბურღულეული– წიწიბურა, ბრინჯი, კარტოფილი, კომბოსტო, სტაფილო, ჭარხალი, ხახვი, ნიორი, მწვანილი(ოხრახუში, ქინძი, ცერეცო), ვაშლი, ლობიო, ქიშმიში, შვრიის ფანტელი, მანანის ბურღული, სიმინდის ფქვილი, ხორბლის ფქვილი, რაფინირებული ზეთი, შაქარი, ჩაი, მარილი, მაკარონი, ვერმიშელი, საფუარი, ჟელირებული კანფეტი,გაყინული თევზი, კვერცხი, ჯემი, ტომატ–პასტა) .

აღსანიშნავია მოწოდებული პროდუქტის ხარისხზე პასუხისმგებელია მომწოდებელი კომპანიები, ჩვენი მხრიდან მუდმივად ხორციელდება ხარისხის კონტროლი; მოწმდება როგორც შემოსული პროდუქტის ვარგისიანობა ასევე წარმოების პროცესი და მზა საკვების შესაბამისობადადგენილ ნორმებთან.

იმერეთის რეგიონული სამართველოს სურსათის ეროვნული სააგენტო გეგმიური შემოწმების საფუძველზე საბ/ბაღებში წელიწადში 2-ჯერ შემოდის ინსპექტირების, ხოლო 2-ჯერ კი დოკუმენტალური შემოწმების სახით. 2022 წლის აპრილის თვეში თექვსმეტივე საბავშვო ბაღში

გეგმიური ინსპექტირების შემოწმების სახით იყვნენ შემოსულები, საბავშვო ბაღში გამოვლინდა არაკრიტიკული შეუსაბამობა, მითითებების შესრულებისათვის საჭირო გონივრული ვადა არის 4.10.2022 წლამდე, რომელთა შესრულებაც ეტაპობრივად დაწყებული გვაქვს.

სურსათის უვნებლობის რეკომენდაციით და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს #303 ბრძანებით ხორცის შენახვა განსაზღვრული ტემპერატურის (+5 +6) დაცვით ინახება 48 საათი და ბავშვთა კვებაში გაშვება ხდება მცირედი ნორმების დარღვევით. პურფუნთუშეული კი ინახება 20 ^{O}C – ტემპერატურაზე 70 – 75 % ფარდობითი ტენიანობის პირობებში 72 თორმეტი საათი.

25.01.2022 წ. თექვსმეტივე საბავშვო ბაგა–ბაღში ჩატარდა სადერატიზაციო (რატექსი–ბრომადიონი 0,01%) და სადეზინსექციო (ფენდონა 1%) სამუშაოები, ყველა ბაღში დატოვეს კონცეტრირებული ხსნარი და მედდებს ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი ხსნარის მოხმარებასთან დაკავშირებით. 31.01.2022 წ. კი ჩატარდა რეზერვუარების დეზინფექცია და სასმელი წყლის მიკრობიოლოგიური და ქიმიური კვლევა, ქიმიური კვლევა მხოლოდ იმ ბაღებში რომელთაც ჭის წყალი მიეწოდებათ. ყველა საბავშვო ბაღს მიეწოდება უვნებელი წყალი. სამუშაობს აწარმოებს ,,ქუთაისის დეზინფექციისა და სპეც. ეპიდემიის ზედამხედველობის სამსახური " – დირექტორი რუსუდან ხაჭაპურიძე.

2021 წლის 25 მარტს შემოგვივიდა გაფრთხილების წერილი სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ საქართველოს 2010 წლის 25 ივნისის #173 დადგენილების თანახმად, 2021 წლის 1 ივნისამდე დანერგილი უნდა გვქონოდა სურსათის უვნებლობის პროცედურები საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის პრინციპების შესაბამისად, HACCP -ის სისტემა, რომელიც განსაზღვრავს, აფასებს და აკონტროლებს სურსათის უვნებლობისათვის მნიშვნელოვან საფრთხეებს.

მოძიებული ინვოისების საფუძველძე 26.07.2021 წელს ხელშეკრულება გავაფორმეთ ა(ა)ი.პ. ,,გლობალური კონსალტინგის და განვითარების ცენტრთან"– დირექტორი ზაზა მჭედლიშვილი. რომელიც აკმაყოფილებს (HACCP) -ის სისტემის ყველა პრინციპის მოთხოვნებს. 2021 წლის 14–15 აგვისტოს ბაღის მენეჯერებს, მზარეულებს, ექთნებს და გაერთიანების რამდენიმე თანამშრომელს ჩაუტარდათ ტრენინგი – HACCP-ის სისტემის შემუშავება და დანერგვა, გეპ–ანალიზი– წინასწარი აუდიტი, HACCP-ის დოკუმენტაციის მომზადება".

2021 წლის მარტის თვეში შემოსული იყო სურსათის უვნებლობის სააგენტო დოკუმენტალური შემოწმების საფუძველზე, ხოლო 2021 წლის აპრილში კი ინსპექტირების სახით. შეუსაბამობები რომელიც რეკომენდაციის სახით მოგვაწოდეს თითოეულ საბავშვო ბაღზე, გაერთიანების მიერ შესრულება ეტაპობრივად მიმდინარეობს.

მონიტორინგი

28.01.2019 წ. ა.ა.ი.პ. სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების შიდა ბრძანების #100 საფუძველზე შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფი. სასწავლო წლის დაწყებისთანავე, მონიტორინგის ჯგუფის მიერ შედგენილი იქნა სამუშაო გეგმა, რომელიც მტკიცდება გაერთიანების დირექტორის მიერ. სამუშაო გეგმა ითვალისწინებს 2021-2022 სასწავლო წლის პერიოდში

სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების, გარემოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საქმიანობის და საბავშვო ბაღებში სურსათის უვნებლობის მართვის სისტენის მონიტორინგს. რომლის მიხედვითაც ტარდება მონიტორინგი თექვსმეტივე საბავშვო ბაღში, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, სატელეფონო ზარის ან მომართვის საფუძველზე, არაგეგმიური შემოწმებაც შეიძლება მოხდეს. მონიტორინგი წარმოებს წინასწარ შედგენილი და შეთანხმებული კითხვარის შესაბამისად, მონიტორინგის მიზანია პრევენციული ღონისძიებების გატარება ჩვენს დაქვემდებარებაში არსებულ ობიექტებში ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის, ასევე გათვალისწინებულია ისეთი საკითხების კონტროლი, როგორიცაა: კვების ორგანიზების, სან-ჰიგიენური წესების, ასევე რაციონის, კვებით ღირებულებებზე ზედამხედველობა.

2022 წლის 21 მარტიდან 15 მაისის ჩათვლით ვიმყოფებოდით მონიტორინგზე ჩვენს დაქმემდებარებაში მყოფ თექვსმეტივე საბავშვო ბაღში და სკოლისგარეშე სექტორებშო. მონიტორინგის ჯგუფის შემოვლის დროს დარვევებს, მითითებებს და რეკომენდაციებს ავღნიშნავთ ოქმში, გამოვლენილი დარღვევების საფუძველზე მენეჯერების სახელზე გაიცემა სარეკომენდაციო წერილები და ეძლევათ გონივრული ვადა ამ დარღვევების გამოსასწორებლად. გარკვეული პერიოდის შემდეგ კი ვაწარმოებთ მიცემული მითითებებისა და რეკომენდაციების გადამოწმებას.

სკოლისგარეშე დაწესებულებებს რაც შეეხება , მოგახსენებთ მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ:

მუსიკალური სექტორი

ა.(ა).ი.პ. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების სამუსიკო სექტორში ჩატარებული მისაღები გამოცდის შედეგად ჩაირიცხა 12 მოსწავლე. სამუსიკო სექტორში სულ ირიცხება **115** მოსწავლე. აქედან 9 მოსწავლე განთავისუფლებულია სწავლის გადასახადისაგან.

9 ივნისს სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს სენაკის არტ ფესტივალში სადაც მივიღეთ 2 საპატიო დიპლომი და 1 ლაურეატის წოდება.

17 მაისს მონაწილეობა მივიღეთ კონკურსი ,,თაობათა ცვლა“ სადაც დიდი მოწონა დავიმსახურეთ.

26 მაისს ჩატარდა ერთობლივი კონცერტი დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით.

1 ივნის ჩატარდა ერთობლივი ღონისძიება ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით.

25 ივნისს დაგეგმილია საანგარიშო შემაჯამებელი აქტივობა სამუსიკო სექტორის მოსწავლეების მონაწილეობით.

სექტემბერ- ნოემბერში გვაქვს მოწვევა კონკურსზე ჩეხეთში.

სკოლას ამთავრებს სავიოლინო განყოფილებიდან 4 მოსწავლე და საფორტეპიანო განყოფილებიდან 17 მოსწავლე. ახალი სასწავლო წლისათვის სექტემბრის თვეში ვაპირებთ მისაღები გამოცდების ჩატარებას.

იმედი გვაქვს პანდემია ხელს აღარ შეგვიშლის და 2022- 2023 სასწავლო წელი უფრო ნაყოფიერი იქნება და შედეგებსაც უკეთესს დავდებთ.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სექტორი

მოსწავლე-ახალგაზრდობის სექტორმა 2021-2022 სასწავლო წელს მუშაობა განაახლა 4 ოქტომბრიდან და იმ დროისთვის სექტორში მუშაობა მიმდინარეობდა 21 წრესა და კლუბში.

მიმდინარე სასწავლო წლის მარტის თვიდან სექტორის მიმართულებებში მოხდა ცვლილება, 21 მიმართულებიდან დარჩა 19 მიმართულება:

1. გეოეკოლოგია --- გოჩა ნერგაძე

2. ბიოეკოლოგია --- მარიკა გუმბერიძე
3. ტოპონიმიკა --- ზურაბ თოლორდავა
4. მხარეთმცოდნეობა --- დარეჯან ფურცელაძე
5. ლიტერატურული ჟურნალისტიკა --- ელისო ქოჩიაშვილი
6. ხელოვნება გართობაში --- თამარ კოხოძე
7. სახვითი ხელოვნება(ხატვა) -- სოსო რობაქიძე
8. გამოყენებითი ხელოვნება (თექა, ქარგვა) -- მარინა ჯანგულაშვილი
9. ჭედურობა ხეზე და ქვაზე კვეთა --- გია შოთაძე
10. ინტელექტკლუბი ---- ქეთევან ქებაძე
11. საბავშვო პროექტებისა და დებატების კლუბი --- მირანდა გუმბერიძე
12. შემეცნებით-გასართობი ლიდერთა კლუბი -- თეონა ფახურიძე
13. მხატვრული კითხვა --- ეთერ კბილაშვილი
14. საესტრადო-საშემსრულებლო -- ამირან ჯულუხაძე
15. მაკრამეს და ქსოვა -- ნესტან მაღლაკელიძე
16. ქორეოგრაფიულ-თეატრალური -- შალვა ჯიხვაძე
17. კულინარიის მიმართულება-- ფიქრია ნიჟარაძე
18. სასცენო ხელოვნება --- მარინა ჩხეიძე
19. რელიგიის ისტორია -- ფატმან მსხვილიძე

აღნიშნულ მიმართულებებზე ირიცხება 154 მოსწავლე.

სასწავლო წლის დასაწყისში მოხდა მიმართულებების ხელმძღვანელების მიერ წლის სამუშაო გეგმის შედგენა, საჯარო სკოლებიდან მოსწავლეთა მოძიება, ჯგუფების დაკომპლექტება და შედგენილი საწრეო მუშაობის განრიგის (ცხრილი) მიხედვით მუშაობის დაწყება.

თუმცა მსოფლიო პანდემიამ მუშაობაზე აქაც მოახდინა გავლენა. ვიცით რომ აკრძალული იყო დიდი და ხმაურიანი ღონისძიებების ჩატარება, ხალხმრავლობა. ასევე მშობლებს ეშინოდათ ბავშვების კლუბებში მეცადინეობებზე გამოშვება და მოკლებული იყო ბავშვათა რაოდენობა და მათი გამოცხადება მეცადინეობებზე. კორონა ვირუსი დადასტურებული შემთხვევის გამო რაღაც პერიოდი მოგვიწია თვითიზოლაციაში ყოფნა. შექმნილი მდგომარეობის გამო ვერ მოხერხდა გეგმით გათავალისწინებული ყველა კონკურსის , ღონისძიების და ექსკურსია-ლაშქრობის ჩატარება.

ყოველივე ამის მიუხედავად მაინც ვაგრძელებდით მუშაობას იმ კონტიგენთან, რომლებიც ცხადდებოდნენ მეცადინეობებზე .

ყოველგვარი წესებისა და რეგულაციების დაცვით ჩავატერეთ რამოდენიმე ღონისძიება.

1. ახალი წლის ღონისძიება ----- ხელმძღვანელი ანნა მინაძე
2. 9 აპრილის ღონისძიება „მადლობა თავისუფლებისთვის“ ---- ხელმძღვანელი თეონა ფახურიძე და ეთერ კბილაშვილი
3. 14 აპრილი --- დედაენის დღე - მხატვრული მიმართულების (მხატვრული კითხვა, მკითხველთა კლუბი და საბავშვო პროექტებისა და დებატების კლუბი) წრის ბავშვების მიერ წარმოდგენილი იქნა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „ენა, მამული, სარწმუნოება“
4. 20 მაისი--კალიგრაფისტთა კონკურსი---ხელმძღვანელი მირანდა გუმბერიძე
5. 23 მაისი --ინტელექტუალური თამაში „რა, სად, როდის“--- ხელმძღვანელი ქეთევან ქებაძე

6. 25 მაისი--- საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ჩავატარეთ ღონისძიება „ცოდ ნით თავისუფლებისკენ“ -- ხელმძღვანელი თეონა ფახურიძე.
7. 14 მაისს სასწავლო წლის შემაჯამებელი ღონისძიება „ყვავილების ზღაპრული სამყარო“,იმედს ვიტოვებთ, რომ მალე პანდემია დავიწყებას მიეცემა და ჩვენც შევძლებთ ჩვეულ რეჟიმში მუშაობის გაგრძელებას.

სახელოვნებო სექტორი

სახელოვნებო სექტორის კოტე ფოცხვერაშვილის სახ. ხელოვნების სკოლაში 2020-2021 სასწ. წელი როგორც ყველა სექტორში განსაკუთრებული სირთულეებით გამოირჩეოდა, მიუხედავად ამისა შევძელით მისაღები გამოცდების შედეგად ჩარიცხული კონტიგენტის წლის ბოლომდე შენარჩუნება და სასწავლო პროცესის სწორად და ეფექტურად წარმართვა.

ხელოვნების სკოლაშო 4 განყოფილება ფუნქციონირებს ;

1. სამუსიკო განყოფილება სადაც ირიცხება 31 მოსწავლე.
2. ქორეოგრაფიული განყოფილება - 30 მოსწავლე.
3. სახვითი - 12 მოსწავლე
4. თეატრალური განყოფილება - 20ნმოსწავლე.

   გარდა ამისა სკოლაში ფუნქციონირებს ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,აისი“ (ხელ.გ.მსხილაძე) და ფოლკლორული ანსამბლი (ხელ.გ.აბესაძე). II სემესტრიდან სახელოვნებო სექტორში ფუნქციონირებს მგალობელთა გუნდი, რომლის შექმნის სურვილი გამოიწვია სოფ.წითელხევში ეკლესიის აგებამ. გუნდი დაკომპლექტებულია ადგილობრივი მრევლისა და ჩვენი სკოლის მოსწავლეებისგან.

   პანდემიური წლის მიუხედავად, სკოლაში სასწავლო პროცესი საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობდა, მცირე ხნით მოგვიწია ონლაინ მეცადინეობებზე გადასვლა, რომელიც შეძლებისდაგვარად ხორციელდებოდა საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე. ხშირი იყო ვირუსის გჰამო გაკვეთილების გაცდენა.

   სკოლაში გარდა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ჩათვლებისა და გამოცდებისა ტარდება ღია გაკვეთილები, გამოფენა-კონცერტები და სხვა ღონისძიებები წინასწარი შედგენილი გეგმის მიხედვით.

   - განსაკუთრებით აღსანიშნავია პროექტ ,,ბაღდათის საამაყო ადამიანების - 2 საღამო, ბატონ გიგა აბესაძის და ნოდარ ფულარიანისადმი მიძღვნილი საღამო.

   - სკოლაში ჩატარდა ასევე მ.გუბელაძის ლექსების კრებულის პრეზენტაცია, რომელსაც განცხვავებული აუდიტორია ესწრებოდნენ.
   - ტარდებოდა ასევევ დახურული საფორტეპიანო კონცერტები, ღია გაკვეთილები, მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენები.
   - ტრადიციულად ჩატარდა ,,საგაზაფხულო“ და ,,საშობაო კონცერტები“.
   - ჩვენი სკოლის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა ,,აისი“ (ხელ.გ.მსხილაძე), ახალციხეში

გამართულ ფოლკლორულ ფესტივალ ,,ეროვნულ საგანძურში“ I ადგილი და ლაურეატის წოდება დაიმსახურა, რაც ხელმძღვანელ გ. მსხილაძის ინტენსიური შრომისა და პროფესიონალიზმის შედეგია.

- მაისის თვეში კი ფოლკლორული ანსამბლი ბატონ გ.აბესაძის ხელმძღვანელობით მიწვეული იქნა ქ.ქუტაისის მ.ბალანჩივაძის სახ.ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელში ლექცია- კონცერტით, რომელიც ხალხურ საკრავებს ეხებოდა, საკმაოდ კომპეტენტური აუდიტორიის წინაშე შესრულდა 8 ქართული ხალხური სიმღერა და ანსამბლმა უდიდესი მოწონება დაიმსახურა. დაიგეგმა გასვლითი კონცერტები და ურთიერთანამშრომლობა შემოგვთავაზა სასწავლებლის დირექციამ.
- 17 ივნისს ჩატარდა საანგარიშო კონცერტი რომელშიც მონაწილეობს სკოლის ყველა განყოფილება.

რამდენიმე წელია არ გვქონია საშუალება მონაწილეობა მიგვეღო გასვლით ფესტივალებსა და კონკურსებში. მომდევნო სასწავლო წლისათვის იგეგმება ფოლკლორული ანსამბლისა და რამდენიმე სამუსიკო განყოფილების მოსწავლის მონაწილეობა ე.წ. ,,სენაკის ფესტივალზე“.

სალოტბარო სექტორი

ამჟამინდელი მდგომარეობით ბაღდათის სალოტბარო სკოლაში ირიცხება 15 მოსწავლე.
ბაღდათის სალოტბარო სკოლაში, გალობის სახელოსნოში, 2021-2022 სასწავლო წელს შესწავლილი იქნა შემდეგი საგალობლები:
I სემესტრში სრულად გავიმეორეთ წირვის წესის საგალობლები:
1. აკურთხევს სული (I აღსავალი);
2. მხოლოდ-შობილო (II აღსავალი);
3. სასუფეველსა შენსა (III აღსავალი);
4. მოვედით თაყვანის-ვსცეთ;
5. უფალო აცხოვნენ კეთილმსახურნი;
6. წმიდაო ღმერთო;
7. ალილუია (მე-5 ხმა);
8. რომელნი ქერუბიმთა;
9. და ვითარცა მეუფისა;
10. მამასა და ძესა;
11. მრწამსი;
12. ღირს არს და მართალ;
13. წმიდა არს, წმიდა არს;
14. შენ გიგალობ;
15. ღირს არს ჭეშმარიტად;
16. ყოველთა და ყოვლისათვის;
17. მამაო ჩვენო;
18. ნათელი ჭეშმარიტი;
19. აღავსე პირი;
20. იყავნ სახელი.

II სემესტრი:
1. დღეს საღვთომან მადლმან;
2. შენ ხარ ვენახი;
3. შობა შენი უხრწნელ არს.

ამ სასწავლო წელს შესწავლილი ხალხური სიმღერებია:
1. ვინ მოგიტანაო
2. შავშური სახუმარო
3. ჩემო დათუნაო
4. დელია
5. ლალე
6. ალილო
7. სახუმარო
8. აფრასიონს უხარია
9. მასპინძელსა
10. მაყრული
11. დელი-დელა

12. ცხენოსნური

სალოტბარო სკოლის ბავშვები პერიოდულად იღებენ მონაწილეობას საკვირაო მსახურებაში და ასრულებენ წირვის წესის საგალობლებს ფერსათის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში.
2022 წლის 21-24 ივნისს მონაწილეობას ვიღებთ ფოლკლორის ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ სალოტბარო სკოლების ფესტივალში "მომავლის ხმები", რომელიც გაიმართება ანაკლიაში.

სასწავლო წლის ბოლოს გვექნება შემაჯამებელი ღია გაკვეთილი.
ასევე იგეგმება ერთი-ორი გასვლითი კონცერტი სხვა სალოტბარო სკოლებთან ერთად.
პანდემიის რეგულაციებმა ძლიერ იმოქმედა მოსწავლეთა რაოდენობის შენარჩუნებაზე

სექტემბრიდან ვგეგმავთ შესვლას ბაღდათის რაიონის სკოლებში, ჩავატარებთ კონცერტებს და ადგილზე ავარჩევთ ბავშვებს. ვიმედოვნებთ მომავალი სასწავლო წლიდან მშვიდ გარემოში მოგვიწევს მუშაობა და ჩვენი მუშაობა უფრო ნაყოფიერი იქნება.

უახლოეს ხანში დაგეგმილი და შესასრულებელი ღონისძიებები.

შემუშავებულია სამოქმედო გეგმა ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების უზრუნველსაყოფად:

1. დაგეგმილია სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება. კერძოდ
- ბაღდათის N1 და N2 საბავშვო ბაგა-ბაღში ეზოს სამღებრო სამუშაოების შესრულება.
- ბაღდათის N2 საბავშო ბაგა-ბაღის ეზოს გარკვეულ ნაწილში ასვალტის საფარის განახლებას.
- ფერსათის საბავშვო ბაღში კედლების დაზიანებული ნაწილის კოსმეტიკური რემონტი.
2. აღსანიშნავია რომ დაგეგმილი სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტებიდან, ნაწილს განვახორციელებთ მერიის მხარდაჭერით.
- ბაღდათის №2 საბავშვო ბაგა-ბაღში აივნების გაღებვა, 1 სართულზე ჯგუფის ოთახის შექმნა.
- როკითის საბავშვო ბაღში მოსაწესრიგებელია და იგეგმება; საწყობის იატაკის, დარბაზის ჭერის, საპირფარეშომდე მისასველი ტიხარის გაკეთება და შეშით გათბობის ჩანაცვლება ცენტრალური გათბობით.
- დიდველის საბავშვო ბაღში სასადილოს იატაკის და საპირფარეშოს მოწესრიგება.
- როხის საბავშვო ბაღში საპირფარეშოს მოწესრიგება.
- ვარციხის საბავშვო ბაღში იგეგმება ღობის და ეზოს ფილების დაგება.
- ხანის საბავშვო ბაღში იატაკის , გათბობის სისტემის, კანალიზაციის გაყვანილობის მოწესრიგება.
- წყალთაშუის საბავშვო ბაღში შესასვლელების გადახურვა.
- 2 ობჩის N 1 საბავშვო ბაღში ოთახების ნაწილის რეაბილიტაციას.
- სახელოვნებო სექტორი საჭიროებს ეზოს შემოღობვას.
- იმ ბაღებში სადაც გასათბობად გამოიყენება შეშა ვგეგმავთ ბუნებრივ აირზე გათბობის სისტემის მოწყობას ეტაპობრივად მოვახდენთ გაზიფიცირებას დიდველის და როკითის საბავშო ბაღებში.

გარე სივრცეების ორგანიზება და მოწყობა ძალიან მნიშვნელოვანია სკოლამდელი დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესის ნორმალური წარმართვისათვის და, მათ შორის, უმნიშვნელოვანესია ბავშვის მოტორიკის სწორი განვითარებისათვის.
Covid-19 პანდემიიდან გამომდინარე ეს საკითხი კიდევ უფრო მწვავედ დადგა საბავშვო ბაღების წინაშე.
სამომავლოდ პერსპექტივაში გვაქვს, თუკი გამოიძებნა ამისათვის თანხები ეზოს სათამაშოების შეძენა ქალაქის N1 და N2 საბავშვო ბაგა-ბაღებში.

მრავალწლიანი ურთიერთთანამშრომლობით World Vision საქართველოს მხარდაჭერით იმერეთის განვითარების ცენტრის ინიციატივით ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა ბაღდათის საბავშვო ბაღებისთვის.

- მერიის და იმერეთის განვითარების ცენტრის ერთობლივი პროექტით 2021 წელს დიმის N1 და ფერესათის საბავშვო ბაღებში დაიდგა ეზოს საქანელები და სასრიალოები.
- იმერეთის განვითარების ცენტრის დახმარებით როკითის და როხის საბავშო ბაღებში დაიდგა ეზოს საქანელები და და სასრიალოები.
- ასევე მათი ხელშეწყობით დიდველის, 1 ობჩის, 2 ობჩის N1 და 2 ობჩის N2 საბავშვო ბაღებში დაიდგა ბატუტი, სასრიალო, ქვიშის ჩასაყრელი კუ და შეძენილი იქნა სხვადასხვა თემატური სათამაშოები.

World Vision საქართველოს მხარდაჭერით იმერეთის განვითარებს ცენტრის სკოლამდელი განათლებისა და განვითარების პროექტის ფარგლებში განხორციელდა ახალი ინიციატივა , რაც გულისხმობს სკოლამდელი დაწესებულებების მხარდაჭერას გარე სივრცეების ორგანიზებისთვის. 2022 წლის თებერვალ-მარტის თვეებში ბაღდათის სკოლამდელი დაწესებულებების თანამშრომლებისთვის და გაერთიანებების სპეციალისტებისთვის ჩატარდა ტრენინგები თემაზე: "საბავშვო ბაღის ეზოები, გარე სივრცეების ორგანიზება და მოწყობა".
ჩატარებული ტრენინგების შემდეგ სკოლამდელი დაწესებულებების მშობელთა საკონსულტაციო საბჭოების და აღსაზრდელთა მშობლების ჩართულობით მოეწყო ფუნქციური სივრცეები 9 საბავშვო ბაღში.
საქართველოს იმერეთის განვითარების ცენტრის მხარადაჭერით 27 მაისს შედგა სამუშაო შეხვედრა ბაღდათის მუნიციპალიტეტის 9 სკოლამდელი დაწესებულების მშობელთა საკონსულტაციო საბჭოს წევრებთან.
საკონსულტაციო საბჭო სკოლამდელ დაწესებულებაში შექმნილი ჯგუფია, რომელიც 5 მშობლისგან და 2 აღმზრდელ-პედაგოგისგან შედგება და ამავე დაწესებულების ეფექტურ ფუნქციონირებას უწყობს ხელს. (საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ - მუხლი 18)
შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა სკლამდელ დაწესებულებებში არსებული საჭიროებების გამოკვეთა, საკითხების ანალიზი და არსებული დაბრკოლებების მოგვარების გზების მოძიება. სამუშაო შეხვედრა ჩატარდა მწვავე დისკუსიის რეჟიმში და სკოლამდელი დაწესებულებების მომსახურების მიმღები მხარეების მიერ შემუშავდა სამოქმედო გეგმა.
საქართველოს იმერეთის განვითარების ცენტრის მხარადაჭერით ადვოკატირების ფარგლებში, 16 ივნისს მოეწყო ერთობლივი შეხვედრა, სადაც განვიხილეთ ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით სკოლამდელ დაწესებულებებში არსებული დაბრკოლებების ერთობლივი

მოგვარება ადვოკატირების მიდგომების გამოყენებით.

სამოქმედო გეგმის მიხედვით მშობელთა საკონსულტაციო საბჭოს წევრების დახმარებით მოეწყო:

- სენსორული ბილიკები 9 საბავშვო ბაღში.
- ქვიშის მოედნები მეორე ობჩის N1, დიმის N2,პირველი ობჩის და როკითის საბავშვო ბაღში.
- დრამატული სივრცის მოწყობა 9 საბავშვო ბაღში.
- მებოსტნეობის სივრცის მოწყობა.
- სპორტული ინვენტარი საბჭოს პასუხისმგებლობით როკითის, როხის მეორე ობჩის N1 და N2 საბავშვო ბაღებში.

თვითმმართელობის და იმერეთის განვითარების ცენტრის ორგანიზებით უახლოეს ხანში დაიგეგმა:

- ეზოს სათამაშო მოედანი (ატრაქციონი) შეძენა დიმის #3, დიმის # 2 - საბზრიალო; პირველი ობჩა; დიდველა; წითელხევი - ნაწილობრივ; მეორე ობჩის N1 და N2 საბავშვო ბაღებში.
- ახალი სასწავლო-სააღმზრდელო წლიდან დაიგეგმა ასევე გაერთიანების და მერიის თანადგომით საბავშვო ბაღების ინტერნეტიზაცია.
- მერიის მხარდაჭერით და თანადგომით ასევე დაიგეგმა:
- ბავშვების უსაფრთხოება დახურული ეზოს მოწყობით: დიმის #3; დიმის #2; როხის; როკითის; წითელხევის, პირველი ობჩის და მეორე ობჩის #2 საბავშო ბაღებში.
- თემატური მუშაობისთვის საჭირო თვასაჩინოებები შეძენა მეორე ობჩის #2; პირველი ობჩის და დიდველის საბავშვო ბაღში.
- ბაღთან მისასვლელი გზა, მათ შორის უშუალოდ ბაღის შენობასთან როხის და მეორე ობჩის #1 საბავშვო ბაღში.
- ბაღის მისასვლელ გზასთან საგზაო ნიშნების, ხელოვნური საგზაო მონიშვნის, ზებრა, დახაზვა და თუ შესაძლებელი იქნა სიჩქარის შემზღუდველი ბარიერის გაკეთება დიმის #2; პირველი ობჩის და როკითის საბავშო ბაღში.
- პირველ ობჩაშის საბავშვო ბაღში ე.წ ბირჟის მხარის იზოლირება (თუნუქის ფურცელით შემოღობვა), აქვე საბავშვო ბაღის ეზოში საერთო/სათემო მოხმარების სველი წერტილის გაუქმება
- დიდველის საბავშო ბაღში ერთი გვერდის შემოღობვა

იმედი გვაქვს თქვენი თანადგომით და ერთობლივი ძალისხმევით ბევრის გაკეთებას შევძლებთ და უფრო წინ წავალთ, ჩვენ ძალისხმევას არ დავიშურებთ რათა ჩვენი საქმიანობა დადებითად აისახოს ჩვენი მუნიციპალიტეტის მომავალ თაობებზე. იმედს ვიტოვებთ რომ ახალი 2022-2023 სასწავლო წელი წარიმართება ჯანსაღ და მშვიდ გარემოში რაც მოგვცემს საშუალებას კიდევ უფრო მეტად ნაყოფიერი და წარმატებული იყოს ახალი სასწავლო წელი.